საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1413 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

ფ/პ დავით მოსიაშვილზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს ფ/პ დავით მოსიაშვილზე (პ/ნ №38001003026) გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №100999 ლიცენზიაში ცვლილების შეტანა და ლიცენზიით გათვალისწინებული ფართობის, რომლის კოორდინატებია:

№	X	Y
1	375271	4685779
2	375317	4685799
3	375347	4685745

4	375297	4685736
S=0,27 ჰა,		

შეცვლა სხვა ფართობით, რომლის კოორდინატებია:

№	X	Y
1	374826	4683782
2	374826	4683761
3	374801	4683708
4	374888	4683729
S= 0,27 ჰა.		

2. ფ/პ დავით მოსიაშვილმა (პ/ნ №38001003026) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეცვლილ სალიცენზიო ფართობზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №100999 ლიცენზიის მოქმედების ვადის ბოლომდე (2020 წლის 29 ივლისი), განახორციელოს 18 900 მ^3-ის ოდენობის „იტავაზას“ კვარციანი ქვიშის მოპოვება, სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს „იტავაზას“ კვარციანი ქვიშის ტრანსპორტირება ძარაგადახურული სატრანსპორტო საშუალებით.

4. ფ/პ დავით მოსიაშვილმა, წიაღითსარგებლობის პროცესში რესურსის ტრანსპორტირებისას მტვერჩახშობის მიზნით, განახორციელოს სატრანსპორტო გზის წყლით მორწყვა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**